როგორ დევნიდნენ ივანე ჯავახიშვილს

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

დავალება:

მოსწავლეები ყურადღებით უნდა გაეცნონ ტექსტს - „როგორ დევნიდნენ ივანე ჯავახიშვილს“ და პასუხი გასცენ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.

დრო, მოვლენა, ადამიანები - ვახტანგ გურული

(როგორ დევნიდნენ ივანე ჯავახიშვილს) - 2011

დრო - 1930 წლის დეკემბერი
მასალა მოწოდებულია შემოკლებით, სტილი დაცულია

შესავალი

მეცნიერთა წინააღმდეგ ბრძოლა 30-იან წლებში მთელი სსრკ-ის მასშტაბით მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ერჩოდნენ იმ სწავლულებს, რომლებმაც მოღვაწეობა მეფის რუსეთის დროს დაიწყეს და მათ დრომოჭმულ და ანტიმარქსისტ მეცნიერებს ეძახდნენ. ამ ბრძოლას კონდრატიევშჩინის სახელით მოიხსენიებდნენ, რუსი ეკონომისტის - ნიკოლოზ კონდრატიევის გამო. ის ეკონომიკური ციკლების თეორიის ავტორი და მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი გახლდათ. კონდრატიევი დაიჭირეს 1930 წელს ცრუ ჩვენების საფუძველზე. მიესაჯა 8 წლით პატიმრობა, ხოლო 1938 წელს დახვრიტეს.
ივანე ვაშაყმაძე[1] **-** „ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი წარმომადგენელი არის პროფ. ივ. ჯავახიშვილი. იდეოლოგიურად ის ძველი ფეოდალურ-ნაციონალისტური ქვეყნის წარმომადგენელია. მეთოდოლოგიურად ის მხოხავი ემპირისტია[2] და ანტიმარქსისტი.
განზოგადებას და სინთეთიურ აზროვნებას ის გაურბის, ხოლო მის ნაშრომებში თუ შეხვდებით სინთეთიურ აზროვნებას, ის აუცილებლად ნაციონალისტური ბუნების იქნება. ამის გამო ისტორიული აზროვნება საქართველოში 1921 წლამდე ძალზე ჩამორჩენილი იყო და ნაწილობრივ ივ. ჯავახიშვილის მეოხებით ეხლაც ჩამორჩენილია. მრავალი წიგნები იწერებოდა, მაგრამ მათ ქონდათ ხასიათი ფაქტების შემოწმების - გენეალოგიის აღდგენისა, თარიღების გამოკვლევის და მეფეების პირადი ცხოვრების აღწერის“.
უმთავრესად ასეთ ჩამორჩენილობაში ბრალი მიუძღვის პროფ. ივ. ჯავახიშვილს, თუმცა ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ფაქტების შეგროვების მხრივ ივ. ჯავახიშვილს აქვს დიდი ღვაწლი - მაგრამ

---

[1] ივანე ვაშაყმაძე - 1930-1931 წლებში საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი (1930 წელს თბილისის უნივერსიტეტი რამდენიმე დამოუკიდებელ ინსტიტუტად დაიშალა). ბოლშევიკი და მარქსისტი. 1937 წელს დააპატიმრეს „ტროცკისტული კონტრრევოლუციური და ტერორისტული ორგანიზაციის“ წევრობის ბრალდებით და დახვრიტეს. რეაბილიტირებულია 1957 წელს.
[2] ემპირიზმი - ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც შემეცნების ერთადერთ წყაროდ თვლის გამოცდილებას, გრძნობად აღქმას, სათანადოდ ვერ აფასებს ან სრულიად უარყოფს თეორიულ განზოგადებათა და ლოგიკური აზროვნების მნიშვნელობას.

მხოლოდ ფაქტების შეგროვების მხრივ. ამიტომ ივ. ჯავახიშვილის ისტორია არ არის ისტორია როგორც მეცნიერება.
საქართველოს მეცნიერული ისტორიის დამწერს ჯერ კიდევ უცდის საქართველოს ისტორია. ჯავახიშვილი და მისი მიმდევრები არ იცნობენ საზოგადოებრივ ფორმაციას, კლასთა ბრძოლის პრობლემებს. ისინი ისტორიის პერიოდიზაციას ქრონოლოგიის მიხედვით ახდენენ. ისტორიის ასეთი მეთოდოლოგია მე-18 საუკუნის ისტორიის მეთოდოლოგიას არ სცილდება და, რა თქმა უნდა, წარმოადგენს რეაქციონულ მიმართულებას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ი. ჯავახიშვილმა მრავალი ნაშრომი გამოუშვა, მაგრამ წინმსვლელობა მეთოდოლოგიის მხრივ სრულიად არ ემჩნევა. მისი საქართველოს ეკონომიკის ისტორია სრულიად უვარგისია. ეს არ არის ეკონომიკური ისტორია, რადგანაც მასში ეკონომიკა სრულიად არაა გაგებული სწორად და მეთოდოლოგიურად, ჯავახიშვილის შემოქმედებაში წინსვლა კი არა, უკან დახევაა“. **(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 476, აღწერა 1, საქმე 1).**
პეტრე შარია[3] **-** არ შემეძლო იმ მოკლე დროის განმავლობაში და სხვადასხვა პირობების მიხედვით, არ მქონდა შესაძლებლობა, გავცნობოდე ყველა პროფესორის ნაწარმოებს, რომლებზედაც აქ იყო ლაპარაკი, მაგრამ ზოგიერთი პროფესორის გამოსვლა მე მაძლევს საშუალებას, შევეხო მათ იდეოლოგიურ ფრონტს. უმთავრესად ორ პროფესორზედ, რომლებიც ლაპარაკობდნენ, თუ როგორი იყო მათი მუშაობა, აგრეთვე, მათი მოღვაწეობა, როგორი არის მათი იდეოლოგიური ფრონტი. ისინი ეწევიან პოლიტიკურ საბოტაჟს. არ მოისურვეს კრებაზე დასწრება. ესენი გახლავთ ივანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერეთელი[4]. ეს ხალხი, მართალია, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ უმაღლეს სასწავლებლებში იმისათვის, რათა თავიანთი პოლიტიკური ბაგაჟი დამალონ, არ გამოაშკარავონ, მაგრამ სად არიან, როდესაც აქ მათზეა ლაპარაკი, მათ არ იკადრეს მოსვლა. ეს არის პოლიტიკური საბოტაჟი. აკადემიური საბოტაჟი მაშინ იქნებოდა, თუ ისინი თავს დაანებებდნენ აკადემიურ ფორმებში მუშაობას და არ მოვიდოდნენ ლექციებზე. აი, ეს აქტი არის პოლიტიკური აქტი და მას ჩვენ აუცილებელი სათანადო შესაბამისი უნდა მივსცეთ“ **(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 476, აღწერა 1, საქმე 1).**
ცხაკაია (სტუდენტი) - „მე მინდა ჯავახიშვილზე და მის სკოლაზე ვილაპარაკო. და ის შემცდარი აზრი, რომელსაც ატარებს დღეს პროფ. ჯავახიშვილი თავისი მიმდევრებით. აქ ლაპარაკობდნენ, რომ პროფ. ჯავახიშვილი დიდი მეცნიერია, ეს სთქვა სიმონ ხუნდაძემ და ასევე განიმეორა მეგრელიძემაც, მაგრამ მე ვლაპარაკობ, რომ ეს მხოლოდ შირმაა, თორემ ეს კაცი არ წარმოადგენს ისეთ დიდ პიროვნებას, როგორც ზოგიერთებს გონიათ და არც ისეთი დიდი მეცნიერია. მთელი მისი წიგნები არის ემპირიული ფაქტები, ემპირიული ფაქტების დამგროვებელი. მას არ გააჩნია მეთოდი სწორი გაგებით. და ჩვენ კი ვიცით მარქსისტული თეორია, სადაც ლაპარაკი არის, რომ ფაქტები ერთი მეორესთან უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული და ერთი მეორისადმი დაუკავშირებლობა ჩვენ არაფერს არ მოგვცემს.

---

[3] პეტრე შარია - (კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მაღალი რანგის ფუნქციონერი, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, ლავრენტი ბერიას უახლოესი თანამებრძოლი):
[4] გრიგოლ წერეთელი - (დ. 12/25 მარტი, 1870, პეტერბურგი — გ. 20 სექტემბერი, 1939, თბილისი) - ქართველი ფილოლოგი, პროფესორი, ელინისტი, პაპიროლოგიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, კლასიკური ფილოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის დამფუძნებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დამაარსებელი, რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის (ამჟამად რუსეთის მეცნიერებათა აკადემია) წევრ-კორესპონდენტი (1917), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1914), პროფესორი (1905). 1938 წელს, საბჭოთა ხელისუფლებამ ის პოლიტიკური მოტივით დააპატიმრა და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 1939 წელს გრიგოლ წერეთელი თბილისის ციხეში გარდაიცვალა. 1957 წელს წერეთლის საქმე შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო და ის რეაბილიტირებულად გამოხადეს.

ჯავახიშვილს კი აქ არავითარი კავშირი არა აქვს. ისტორიული მატერიალიზმი[5] ეს ისეთი მეცნიერება არ არის, რომელიც დიალექტიკურ მატერიალიზმს ვერ შეითვისებს. ჩვენ გვინდა გარკვევით იქნეს ეს წინააღმდეგობა, კლასთა ბრძოლა გარკვევით იყო ნაჩვენები“ **(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 476, აღწერა 1, საქმე 1).**

სიმონ ჯანაშია[6] - „ამხ. მომხსენებელმა განიხილა ერთი ჯგუფი, რომელსაც ეწოდება ჯავახიშვილის ჯგუფი და მე სწორეთ ამ ჯგუფს მიმაკუთვნა. მე უნდა განვაცხადო, რომ ივანე ჯავახიშვილის უდიდესი პატივი მაქვს, მან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ქართულ ისტორიულ მატერიალიზმში. მე პატივს ვცემ მას, როგორც კარგ, ნიჭიერ მეცნიერს, მაგრამ მე არავითარი საერთო არა მაქვს ამ ჯგუფთან და მათი ინტერესები ჩვენ არ გვაქვს. ჩვენი საზოგადოებრივი ინტერესები განსაზღვრული არის იმ ფაქტით, რომ ჩვენ გვიხდება მუშაობა ერთი და იმავე ინსტიტუტში საქართველოს კათედრის .... (ადგილიდან: არ არის საკმარისი! ტაში)“

(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 476, აღწერა 1, საქმე 1).

დემეტრაშვილი (სტუდენტი): „რაც შეეხება ჯანაშიას გამოსვლას, თავისი განცხადება დაიწყო დალაგებით, ფიქრში არ გადავცდეო. ეს საკმაოდ დარჩენილი ინტელიგენტია. თქვენ დარჩენილი ხართ ისევ ინტელიგენციის წრეში. ჩვენ თქვენ გიცნობთ. თქვენ ხართ ბურჟუაზიის შემეცნების. თქვენ ჯავახიშვილზედ არაფერი სთქვით, რომ არ ვცემ პატივს მის შემეცნებას. ეს ყველამ გაიგო. ჩვენ ეს არ გვინდა, ჩვენ გვინდა გავიგოთ, ხართ თუ არა მიმდევარი მატერიალური დიალექტიკის, სცნობთ თუ არა, რომ ეს არის ნამდვილი პროლეტარიატის კლასის დიალექტიკა, თქვენ ეს არ სთქვით. ხართ თუ არა მომხრე ჯავახიშვილის. აგრეთვე ჩვენ ვიცნობთ თქვენ ნაწარმოებს, როგორიც არის „შადური“ და „დამპატიჟე“ (სტუდენტმა მსჯელობის დროს აურია ივანე და მიხეილ ჯავახიშვილები. ეს ნაწარმოებები მწერალ მიხეილ ჯავახიშვილს ეკუთვნის), ჩვენ კარგად ვიცნობთ ჯავახიშვილის შემოქმედებას (ხანგრძლივი ტაში). მე უნდა მოგახსენოთ პროლეტარიატის ნებისყოფა. პროლეტარიატი შორს მჭვრეტელი არის... საჭირო არის გონს მოხვიდეთ მეცნიერებაში. არ შეიძლება გატარება ნაციონალურ იდეოლოგიის“ **(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 476, აღწერა 1, საქმე 1).**

გაბუნია (სტუდენტი): „აქ გამოვიდნენ სხვადასხვა პროფესორები, როგორიც არის ჯანაშია და სხვები. ჯანაშიამ წაიკითხა ლექცია მშვენიერად. ჯანაშიას აკადემიურ ცოდნას ჩვენ აქ არ ვეხებით, მხოლოდ ჩვენ გვინდა, როგორი თვალსაზრისის არის. პატივცემული ჯანაშია არის

---

[5] (ისტორიის მატერიალისტური გაგება) მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ნაწილი, რომლის მიზანია საზოგადოების განვითარების უზოგადესი კანონების შესწავლა. ი.მ. არის ზოგადი ტერმინი მარქსისა და ენგელსის კონცეფციისათვის ისტორიული, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებებისა და მისი ანალიზის მეთოდის შესახებ. (მარქსის მატერიალიზმის საბაზისო იდეა მოცემულია შრომაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. წინასიტყვაობა“, 1859). ისტორიის მატერიალისტური გაგება, შეიმუშავეს მარქსმა და ენგელსმა XIX ს-ის 40-იან წლებში. მათ ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი პრინციპი გაავრცელეს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მიუთითეს, რომ ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ პირიქით, განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას; როგორიცაა საზოგადოებრივი ყოფიერება, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები, ისეთივეა ადამიანთა ცნობიერება, მათი იდეები და თეორიები; ჯერ იცვლება მატერიალური მხარე, საზოგადოებრივი ყოფიერება, ხოლო შემდეგ, მის შესაბამისად, ადამიანთა შეხედულებები და თეორიები, საზოგადოებრივი ცნობიერება.

[6] სიმონ ჯანაშია, ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი. ივანე ჯავახიშვილის მოწაფე.

ახალგაზრდა კაცი და მან უნდა შეითვისოს დიალექტიკური მატერიალიზმი[7] და არა მარტო ფაქტების აღნუსხვით, როგორც ეს აქვს თავის წიგნებში პროფ. ჯავახიშვილს. შემდეგ პროფ. ყაუხჩიშვილის გამოსვლა. ის სრულებით არ შეხებია იმ საკითხებს, რომელიც დღეს სტუდენტებს აინტერესებს. ე.ი. როგორი კავშირი აქვს ჯავახიშვილის სკოლასთან“ **(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 476, აღწერა 1, საქმე 1).**

ნიკო ბერძენიშვილი[8]: „მე თვითონ კარგად არ ვიცი, თუ რომელ დაჯგუფებაში ვარ, მაგრამ მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ არ ვიცი, რომელ დაჯგუფებაში მომათავსა პატივცემულმა მომხსენებელმა პროფ. ივ. ვაშაყმაძემ (ვაშაყმაძე: ჯავახიშვილის). თუ ჯავახიშვილის ჯგუფში ვარ, უნდა განვაცხადო, რომ ჩემი აზრი არის სამწუხარო. მე არ უნდა მოგეთავსებინეთ ჯავახიშვილის ჯგუფში“ **(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 476, აღწერა 1, საქმე 1).** „.... არა მე წავიკითხავ. მე ვიყავი რევოლუციონერი და ვაპირებ ყოფნას რევოლუციასთან როგორც პოლიტიკურად, ისე იდეოლოგიურად. მე სამსახურად ვფიქრობ, ამისთვის მზად ვარ. ამაში შეგიძლიათ თქვენ დარწმუნებული იყოთ. უკანასკნელი, რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას პროფ. ივანე ჯავახიშვილთან, ასეთი არის. მე მას უღრმეს პატივს ვცემ, როგორც ჩვენს ხელმძღვანელს, განსაკუთრებით ისტორიის დარგში, მაგრამ ეს ყველა მე სრულად არ მიშლის ხელს არ გავიზიარო მისი იდეოლოგიური კონცეპცია (ადგილიდან: ძირს, ძირს, ძირს, ძირს)“ **(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 476, აღწერა 1, საქმე 1).**

მელაძე (სტუდენტები): „როდესაც სოციალისტურ ფრონტზე ჩვენ ვაწარმოებთ კლასობივ შეტევას, მაშვინ თვითეული ჩვენთაგანი გარკვეულ გზას უნდა ადგეს და თვითოეულმა უნდა იცოდეს, თუ ვინ როგორია და რას წარმოადგენს, ვინ ვისთვის იბრძვის. საჭიროა მისი პოლიტიკური ფიზიონომიის გამოაშკარავება. საჭიროა იმათი ფიზიონომიის გამოაშკარავება, რომლებიც ფიქრობენ ჯოჯოხეთის მანქანების დადგმას, რომლითაც ფიქრობენ, აეფეთქებინათ ჩვენი მშენებლობა. ასე მესმის საკითხი. ეხლა მე რეგლემენტი მითავდება, მაგრამ მე მინდა ვილაპარაკო ზოგიერთ ლექტორზე. მათ არ ესმით ესტ ... მათ უნდათ, დაიცვან თავიანთი დისტრადიცია. მე აქ გამოსულ უკანასკნელ დოცენტს უნდა ველაპარაკო, ეს არის გაგება ჯავახიშვილის აგენტობის. აქ გამოსული მთელი რიგი მეცნიერებისა იყო ჯგუფი ჯავახიშვილის თეორიის დამცველების. ისინი არიან ფორმალისტები, არიან ძველი რეაქციონერები, ანტისაბჭოთა აზრს იცავენ, ასაბუთებენ ჯავახიშვილს....“ **(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 476, აღწერა 1, საქმე 1).**

ყალიჩავა (ასპირანტი): „შემდეგ რას წარმოადგენს წერეთელი და ჯავახიშვილი. მე ვიცი ერთ ერთი ფაქტი. როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშვინ გრ. წერეთელი და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკვტაო. ეს არის კონტრრევოლუციონერი, ის მეთაურობს იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოდის. დასკვნა ჩემი ასეთი არის, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები. ჩვენ კი ვერ

---

[7] დიალექტიკური მატერიალიზმი — მარქსიზმის მიმდევართა გარკვეული ნაწილის მიხედვით მარქსიზმის საფუძველი. იგი მიუთითებს, რომ კარლ მარქსის თეორია
არის დიალექტიკის და მატერიალიზმის სინთეზი. თვითონ მარქსი ამ ტერმინს არ იყენებს. დიალექტიკური მატერიალიზმი პრაქტიკულად გახლდათ მარქსიზმის ფილოსოფია

8 ნიკო ბერძენიშვილი - ქართველი ისტორიკოსი, პროფესორი (1939), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1943), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1946).

დაგვამარცხებს ვერავითარი დაბრკოლება, გადავლახავთ ყველაფერს და წავალთ წინ სოციალიზმისკენ“**(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 476, აღწერა 1, საქმე 1).**

ხარატიშვილი (ასპირანტი): „პროლეტარიატი მუდამ ყოფილა და იქნება გულახდილი და არ შეუშინდა არავითარი დაბრკოლებას, როგორც ამას ფიქრობენ ჩვენი მტრები ჯავახიშვილი და წერეთელი (ტაში)“ **(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 476, აღწერა 1, საქმე 1).**

კონტრრევოლუციასთან ბრძოლის შედეგი. 1931 წლის 28 მაისს საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიდან დაითხოვეს „ძველი პროფესურის“ წარმომადგენლები: ივანე ჯავახიშვილი, ანდრია ბენაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გრიგოლ წერეთელი, მიხეილ პოლიევქტოვი, გიორგი გეხტმანი.

შეკითხვები:

1. განმარტეთ, რას გულისხმობს გამომსვლელი (ივანე ვაშაყმაძე), როდესაც ივანე ჯავახიშვილს „ფეოდალურ-ნაციონალისტური ქვეყნის წარმომადგენელის“ უწოდებს.
2. განმარტეთ, რას გულისხმობს გამომსვლელი (ივანე ვაშაყმაძე), როდესაც ივანე ჯავახიშვილს „მხოხავ ემპირისტს და ანტიმარქსისტს.“ უწოდებს. მოიძიეთ და განმარტეთ ეს ტერმინები.
3. რას თვლის ივანე ვაშაყმაძე ივანე ჯავახიშვილის დამსახურებად?
4. რა ბრალდებას უყენებს პეტრე შარია ივანე ჯავახიშვილს?
5. რატომ არის ჩართული ივანე ჯავახიშვილის კრიტიკაში ცეკას მდივანი პეტრე შარია?
6. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორი იქნებოდა გრიგოლ წერეთლისა და ივანე ჯავახიშვილის მისვლა ამ კრებაზე?
7. ტექსტიდან გამომდინარე, როგორია სიმონ ჯანაშიას დამოკიდებულება ივანე ჯავახიშვილისადმი?
8. რა ბრალს სდებს სტუდენტი დემეტრაშვილი სიმონ ჯანაშიას და რას ითხოვს მისგან?
9. ტექსტიდან გამომდინარე, როგორია ნიკო ბერძენიშვილის პოზიცია ივანე ჯავახიშვილის მიმართ?
10. თქვენი აზრით, რატომ აკრიტიკებენ სტუდენტები და ასპირანტები ივანე ჯავახიშვილს ასე დაუნდობლად?
11. დაახასიათეთ ეპოქა და ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია ამ კრების მაგალითზე და გამართეთ დისკუსია.